ჭკვიანი მანქანა

ალბათ, უკვე იცი, რატომ ჰქვია რობოტს ჭკვიანი მანქანა. წაიკითხე ტექსტი და გაიგე მეტი, თუ რის გაკეთება შეუძლია რობოტს.

რობოტი ჭკვიანი მანქანაა. იგი ბევრ დავალებას ასრულებს. ამ დავალებებს შორის ზოგი ძალიან **საშიშია**, ზოგი კი – **რთული**. რობოტს კიდევ ერთი თვისება აქვს – ის არ იღლება. რაც მთავარია, შეცდომას არ უშვებს. ამაში თავისი „ტვინი“ ეხმარება.

რობოტს სამი **ძირითადი** ნაწილი აქვს. კონტროლერი – ეს რობოტის „ტვინია“. სენსორები რობოტს გარე სამყაროს შესახებ აწვდის ინფორმაციას. ეფექტორები კი რობოტის ხელებია. ზოგ რობოტს კამერის „თვალები“ და მიკროფონის „ყურებიც“ აქვს. ამ ჭკვიან მანქანას ბევრი ბატარეა და ელემენტი სჭირდება. ისე მუშაობას ვერ შეძლებს.

რობოტს ხშირად ქარხანაში „ამუშავებენ“. იქ აძლევენ საქმეს, რომელიც ერთი და იმავე მოძრაობის გამეორებას ითხოვს. ეს ზოგჯერ 24 საათს გრძელდება ხოლმე. ამის გაკეთება კი ადამიანს არ შეუძლია.

ამბობენ, რომ მალე რობოტს ბევრი ადამიანი იყიდის სახლისთვის. უკვე არსებობს ისეთი რობოტი, რომელიც ოთახში დადის. ის იატაკს მტვერსა და ჭუჭყს აშორებს.

ახლა მეცნიერები უფრო ჭკვიანი რობოტის შექმნას ცდილობენ. ის ბევრად რთულ დავალებას შეასრულებს და ძალიან დაგვეხმარება.

რა გაიგე რობოტის შესახებ ახალი ამ ტექსტიდან?



დონე: *A გამართული*, **კომპონენტი:** *მიზეზი, შედეგი*

ტექსტის გაგება

ყოველ შეკითხვას შეურჩიე თითო სწორი პასუხი.

1 რატომ არის რობოტი ჭკვიანი მანქანა?

ა) მას სჭირდება ბატარეა და ელემენტები.

ბ) მას შეუძლია ადამიანის დავალების შესრულება.

გ) მას აქვს ვიდეოკამერის ,,თვალები".

2 რობოტს არ უჭირს რთული დავალების შესრულება, რადგან:

ა) არასოდეს იღლება.

ბ) აქვს სენსორები.

გ) შეუძლია გადაადგილება.

3 რობოტი შეცდომებს არ უშვებს, რაშიც მას ყველაზე მეტად ეხმარება:

ა) კამერის თვალები.

ბ) მოძრაობების ხშირი გამეორება.

გ) „ტვინი" ანუ კონტროლერი.

4 ტექსტში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, თუ:

ა) რაში ეხმარება რობოტი ადამიანს სახლში.

ბ) როგორ სამუშაოს ასრულებს რობოტი ქარხანაში.

გ) რომელ დავალებას შეასრულებს ახალი რობოტი.

▶▶▶ ლექსიკა

1 გაარკვიე ხაზგასმული სიტყვების მნიშვნელობები.

1. ზოგი საქმე **საშიშიც** კი არის.
   ა) რთული. ბ) საჭირო. გ) სახიფათო.

2. ზოგი დავალება ძალიან **რთულია.**
   ა) ადვილია. ბ) საოცარია. გ) ძნელია.

3. რობოტს სამი **ძირითადი** ნაწილი აქვს.
   ა) ახალი. ბ) მთავარი. გ) ძლიერი.

2 ხაზებით დააკავშირე საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვები (ანტონიმები).

ჭკვიანი	სუფთა
რთული	უხიფათო
საშიში	უგუნური
ჭუჭყიანი	ადვილი

▶▶▶ გრამატიკა

1 გამოიყენე წინადადებებში სიტყვა „რობოტი“ საჭირო ფორმით.

რობოტი	რობოტს	რობოტის

1. ---------- ხშირად ქარხანაში ამუშავებენ.
2. ახლა მეცნიერები უფრო ჭკვიანი ---------- შექმნას ცდილობენ.
3. ---------- შეცდომას არ უშვებს.

2 რომელი <u>არ არის</u> სწორი?

ა) ახალი ნაწილები. ბ) სამი ნაწილები. გ) საჭირო ნაწილები.

გრამატიკა

3 რომელი სიტყვაა გამოტოვებული?

არსებობს ისეთი რობოტი, ---------- ოთახის დალაგება შეუძლია.

ა) რომელიც. ბ) რომელმაც. გ) რომელსაც.

4 დაწერე სწორი ფორმები ნიმუშის მიხედვით.

ნიმუში: ის იღლება. მე ვიღლები.

ის ასრულებს. მე ----------.

ის შეძლებს. მე ----------.

წერა

1 ტექსტის მიხედვით შეავსე სქემა.

რობოტი	
რა არის?	**რობოტი არის ჭკვიანი მანქანა.**
რა აქვს?	
რას აკეთებს?	

2 დაწერე, როგორი რობოტი გინდა რომ გქონდეს? დახატე ეს რობოტი.